

აკრედიტაციის ცენტრის მიერ 2018 წელს განხორციელებული ღონისძიებების ანგარიში.

2019 წელს აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს მიერ, აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად გაიცა 74 აკრედიტაციის მოწმობა, მათ შორის:

- ინსპექტირების ორგანო - 38 (სამშენებლო სფეროს ინსპექტირების ორგანო - 18, დაკანონებული გამზომი საშუალებების დამამოწმებელი პირი - 0, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ინსპექტირების ორგანო - 15, სხვა - 5);
- საგამოცდო ლაბორატორია - 31;
- სამედიცინო ლაბორატორია - 1;
- პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო - 1;
- მენეჯმენტის სერტიფიკაციის ორგანო - 1;
- პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო - 2;

აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნების შესაბამისად ყოველწლიური შეფასება გაიარა 91 აკრედიტირებულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა:

- საკალიბრებელი ლაბორატორია - 4,
- ინსპექტირების ორგანო - 23,
- საგამოცდო ლაბორატორია - 61,
- სამედიცინო ლაბორატორია - 1,
- პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო - 1,
- პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო - 1,

დამატებით სფეროში აკრედიტაცია გაიარა 10 -მა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა:

- სამშენებლო სფეროს ინსპექტირების ორგანო - 2;
- ასს-ების ინსპექტირების ორგანო - 1;
- საგამოცდო ლაბორატორია - 7;

აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნების დარღვევის გამო, აკრედიტაციის სფერო შეუმცირდა 17 შესაბამისობის შემფასებელი პირს

- სამშენებლო სფეროს ინსპექტირების ორგანო - 8;
- ასს-ების ინსპექტირების ორგანო - 7;
- საგამოცდო ლაბორატორია - 2;

შესაბამისობის შემფასებელი პირების მიერ გატარებული შესაბამისი ღონისძიებების თანახმად, არაგეგმიური შეფასებით აკრედიტაცია აღუდგა მხოლოდ 5 პირს.

- ინსპექტირების ორგანო - 2,
- საგამოცდო ლაბორატორია - 2,
- საკალიბრებელი ლაბორატორია - 1.

აკრედიტაციის ცენტრმა შეიმუშავა და აკრედიტაციის სისტემაში განახორციელა აკრედიტაციის განახლებული წესების და პროცედურების იმპლემენტაცია. აკრედიტაციის ცენტრის წამყვანი შემფასებლებისათვის განხორციელდა ტრენინგი განახლებული „ISO/IEC 17025:2017“ სტანდარტისა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნები“ ტექნიკურ რეგლამენტის შესაბამისად. გარდა ამისა, აკრედიტაციის ცენტრის წამყვანმა შემფასებელმა მონაწილეობა მიიღეს EA-ს მიერ ორგანიზებულ EA-ს შემფასებლების ტრენინგში (პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების „ISO/IEC 17024:2012“ - სტანდარტის შესაბამისად) EA-ს იმ შემფასებლების მომზადების მიზნით, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ EA-ს მიერ ორგანიზებულ შეფასებებში;

განხორციელდა 13 პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაცია და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მათთან გაფორმდა ხელშეკრულებები „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობების თაობაზე“ დანართი 1-ის შესაბამისად;

ჩატარდა აკრედიტაციის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც დაეთმო უსაფრთხო გარემოს და აკრედიტაციის, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების როლს უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ხარისხის ინფრასტრუქტურის, აკრედიტირებული პირების და აკრედიტაციით დაინტერესებული ორგანოების წარმომადგენლებმა;

ჩატარდა შეხვედრა დავით აღმაშენებლის სახ. აკადემიის სტუდენტებთან. აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენელმა სტუდენტებს გააცნო აკრედიტაციის და შესაბამისობის შეფასების ინფრასტრუქტურის ძირითადი პრინციპები, ასევე საქართველოს და ევროკავშირის კანონმდებლობა აკრედიტაციის და ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში.

აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს შორის ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ EA-ს ყოველწლიური ლაბორატორიული, ინსპექტირების, მრავალმხრივი შეთანხმებისა და სერტიფიკაციის ტექნიკური კომიტეტების და EA-ს გენერალური ასამბლეის მუშაობაში.

EA-ს მიერ განხორციელდა აკრედიტაციის ცენტრის გეგმიური შეფასება 2017 წელს აკრედიტაციის ცენტრსა და EA-ს შორის ორმხრივი აღიარების ხელშეკრულების

ხელმოწერილი აღიარებული სფეროების შენარჩუნებისა და ახალი საერთაშორისო სსტ ისო/იეკ 17011:2017/2018 სტანდარტის აკრედიტაციის წესებში და პროცედურებში იმპლემენტაციის შემოწმების მიზნით. EA-ს შეფასების შედეგად აკრედიტაციის ცენტრმა შეინარჩუნა ყველა აღიარებული სფერო. ასევე შემფასებელთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ აკრედიტაციის ცენტრი ფუნქციონირებს ახალი საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

შვეიცარიულმა კომპანია „SGS Société Générale de Surveillance SA“-მა, რომელიც კონსულტაციას უწევს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროგრამის იმპლემენტაციის საკითხებში, წარმოადგინა D, D1 და E ანგარიშები (D ანგარიში - „საკომუნიკაციო სტრატეგიის შემოთავაზება ან საზოგადოების სათანადო ცოდნისა და ჩართულობის მიწოდება აღნიშნულ პროექტში“; D1 ანგარიში - „საკომუნიკაციო სტრატეგიისა და საკომუნიკაციო გეგმის შემოთავაზება“ და E ანგარიში - „სათანადო სამოქმედო სტრატეგიის შემოთავაზება“, H3 მე-2 ეტაპით გათვალისწინებულ ანგარიში „რეკომენდაციები ხარისხის გაუმჯობესებისათვის“), რომელთა იმპლემენტაციაც განხორციელდა პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების საქმიანობაში.